**დანართი N3**

**საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს მოსამსახურეთა ჩაცმის ეტიკეტი**

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) მოსამსახურეთათვის რეკომენდებულია ჩაცმის საქმიანი და აკადემიური სტილი;

2. სააგენტოს „წინა ხაზის" მოსამსახურეებისთვის, რომელთათვის დადგენილია ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტიკის ტარება, სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელების პროცესში უნდა დაიცვან „შს სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N990 ბრძანებით დამტკიცებული უნიფორმა;

3. სააგენტოს „წინა ხაზის" ყველა მოსამსახურე ვალდებულია დაიცვას ჩაცმის შემდეგი ეტიკეტი:

სამსახურში გამოცხადდეს თავისი პოზიციის შესაბამისი სამსახურებრივი ფორმის (უნიფორმის) სრული კომპლექტით - „შს სამინისტროს მოსამსახურეთა ფორმის ტანსაცმლისა და ატრიბუტების დამტკიცების შესახებ" საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 2013 წლის 31 დეკემბრის N990 ბრძანებით დამტკიცებული უნიფორმა;

ა) ქალბატონებისთვის რეკომენდებულია:

- ეცვათ კლასიკური ფეხსაცმელი (სასურველია შავი, რუხი ან მუქი ლურჯი), ქუსლის სიგრძე 2 – 8 სმ;
- ჰქონდეთ მოწესრიგებული ვარცხნილობა;
- სადა და არა მკვეთრი მაკიაჟი, ასევე შესაძლებელია ღია ფერის ტუჩსაცხის გამოყენება;
- ფრჩხილის ლაქი - სადა, სასურველია ღია ფერის (დაუშვებელია ექსტრავაგანტური ნახატებით ან/და ორნამენტებით გაფორმებული);
- დასაშვებია შეზღუდული რაოდენობის სადა სამკაულის ტარება (პატარა საყურე (სიგრძე არა უმეტეს 2 სმ.), სადა ბეჭედი, კლასიკური საათი, თხელი სამაჯური).

ბ) მამაკაცებისთვის რეკომენდებულია:

- ჰქონდეთ გაპარსული ან მოვლილი წვერი;
- ეცვათ კლასიკური ფეხსაცმელი (შავი, რუხი ან მუქი ლურჯი).

გ) სააგენტოს „წინა ხაზის" მოსამსახურისთვის დაუშვებელია:

- ფერადი, აჟურული კოლგოტი ან გეტრი;
- ზედმეტად მაღალქუსლიანი (8 სმ-ზე მეტი), ღია ან სპორტული ფეხსაცმელი (ან მკვეთრი შეფერილობის ფეხსაცმელი);
- სადღესასწაულო ვარცხნილობა, გრძელი თმის (მხარს ქვემოთ) გაშლილი ტარება, თმის არაბუნებრივი, არაორდინალური ფერი;
- ექსტრავაგანტური თმის სამაგრი, ბეჭედი, სამაჯური, საყურე ან სხვა აქსესუარი;
- მკვეთრი მაკიაჟი;

- პირსინგი, ტატუირება სხეულის თვალსაჩინო ადგილას.

4. სააგენტოს ადმინისტრაციის/Back Office-ის მოსამსახურე ვალდებულია, სამსახურში გამოცხადდეს სუფთა და მოწესრიგებული, დაიცვას ჩაცმის შემდეგი ეტიკეტი:

- ქალბატონებისთვის - სადა პერანგი, მაისური, პიჯაკი, ბლუზა, კაბა, ქვედაბოლო, არამკვეთრი ფერის შარვალი (დასაშვებია ჯინსის კლასიკური შარვალი);
- კლასიკური ფეხსაცმელი - (დასაშვებია კლასიკური სპორტული ფეხსაცმელი);
- მამაკაცებისთვის - კლასიკური შარვალი, (დასაშვებია კლასიკური ჯინსის შარვალი), არამკვეთრი ფერის გრძელმკლავიანი კლასიკური პერანგი, პიჯაკი, სადა მაისური, როლინგი, ჯემპრი;
- ჰალსტუხი - კლასიკური სადა ან/და ორნამენტებით გაფორმებული (დაუშვებელია ექსტრავაგანტური ნახატებით ან/და ორნამენტებით გაფორმებული);
- მამაკაცებს ეცვათ კლასიკური ფეხსაცმელი (დასაშვებია კლასიკური სპორტული ფეხსაცმელი);
- მამაკაცებს ჰქონდეთ გაპარსული ან მოვლილი წვერი.

5. სააგენტოს ყველა მოსამსახურისთვის დაუშვებელია:

ა) ტანსაცმელი

- გამჭვირვალე;
- პერანგი ან კაბა ღრმა დეკოლტეთი;
- ქვედაბოლო ან კაბა ზედმეტად მოკლე ან გრძელი;
- ბრეტელებიანი ან/და მოკლე (ე.წ. „ტოპი") პერანგი, ბლუზა ან მაისური;
- სპორტული;
- ზედმეტად ვიწრო;
- ქუდი;
- ტატუირების ან/და პირსინგის დემონსტრირება.

ბ) მოსამსახურეებს, რომელთაც უწევთ სპეციფიკური, ტექნიკური სამუშაოების შესრულება, მისაღებია ჩაიცვან შედარებით მოსახერხებელი ტანსაცმელი (მაგ. ჯინსი და მაისური, სასურველია პერანგი).

**შენიშვნა:** სააგენტოში გამონაკლის დღედ ითვლება შაბათი, გარდა „წინა ხაზის" მოსამსახურეებისა, როდესაც მოსამსახურეებს შესაძლებლობა აქვთ უპირატესობა მიანიჭონ ჩაცმის შედარებით თავისუფალ სტილს, დასაშვებია ჯინსები (არა დახეული).